დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გალაკტიონის პროსპექტზე. ე. შუხარინის ხახლებში კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გაგზავნის ადგილი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дрозба“.

„დროების“ ფასი:

თვლის წლისა . . . 9 მან. | ხამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო შთაგდებით ასოზე ნახევარ კაპ., ხელშეკრულებით ასოზე 3 შაურ.

თუ სჭირდება მოთხრობა, რედაქცია გაიხარებს და შეიძლება დახმარებაც გამოგზავნილ წერილს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უბრუნებს გენ დაუბარებს ბეჭდვას.

განცხადებანი მიიღება ქალაქში, რუსულს და ქართულ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ექვს შაურად.

საზაფხულო თეატრში

დღეს, 22 იანვარს

მართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

იმპერატორის ალექსანდრე II-ს

სახელობით თავ-შესაფარ სახლის სასარგებლოდ, მმორედ

სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად, ფრანცუზულიდამ გადმოკეთებული თ. დ. გ. ერისთვისაგან.

ახალი დეკორაცია: მეტეხის ციხე და ისტორიული ჩაცმულობა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 7½ სათზე

ტელეგრამმა

(„ბირჟოვიე ვედომოსტის ტელეგრაფის ხაგენტოსი“)

პეტერბურგი, 20 იანვარს. „მოსკოვის ტელეგრაფს“ გამოუცხადეს მეორე გაფრთხილება.

მთელ რუსეთის დამოკიდებების რეგიზიას აბარებენ.

კარლოვის მაგივრად ტერნერი.

ხარკოვის, კიევის და პოლტავის გუბერნიებში შურის მახსავალი გაფუჭდა.

პარიჟი, 19 იანვარს. *Union General*-ის ბანკის კასსაში 500,000 ფრანკის უკარგესი სარგებლიანი ქაღალდები აღმოჩნდა, დეფიციტი (აკლდა) 96 მილიონი. ამ ამბის გაგების დროს ღიონში არეულობა მოხდა ასე, რომ ჯარები მოიხმეს ამ არეულობის დასამშვიდებლად.

«დროების» ფელეტონი, 22 იანვარი.

ჯაკომო ლეოპარდის ბაასიდგან*)

(ნათარგმნი)

მოდა და სიკვდილი.

მოდა. შეფალო სიკვდილო! შეფალო სიკვდილო!

სიკვდილი. საათი თვითონ მიჩვენებს დროს და შენს დაუპატიჟებლადაც მოვალ!

მოდა. შეფალო სიკვდილო!

სიკვდილი. თავი დამანებე-მეთქი! დროზედ შენს დაუპატიჟებლადაც მოვალ!

მოდა. ასე მგონია, რომ მე უკვდავი ვარ!

*) ჯაკომო ლეოპარდი იყო გამოჩენილი იტალიის მწერალი; ცხოვრობდა წარსულ საუკუნეს დასწყისში, როდესაც იტალია წარმოადგენდა სამწუხარო სურათს პოლიტიკურ და ზნეობით დაცემულ სახელმწიფოისას. ამიტომაც არის, რომ ჯაკომო ლეოპარდი ასე დაღვრემილი უყურებს ცხოვრებას.

მომავალი კენჭის-ყრა თავად-აზნაურთა

თფილისი, 21 იანვარს.

სამის თვის შემდეგ კენჭის-ყრა გაიმართება: თავად-აზნაურობა შეიკრიბება თავის წინამძღომლების ალმოსარჩევად.

განსაკუთრებულ მდგომარეობად ჩაითვლება ის მდგომარეობა, როცა ეს ყრილობა უნდა მოხდეს; მაშასადამე თავად-აზნაურობის მოქმედებაც ამ შემთხვევაში არ უნდა ემგზავსოს წინანდელ წლების მოქმედებასა, როცა მოკენჭეები დაუკეირევებლად, წინ-დაუხედავად და შორს-გაუთვერეტლად ეძგერებოდნენ ხოლმე ვინც ხელში მოხვდებოდათ და ალირჩევდენ თავის წინამძღომლად. სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ საგნის შესახებ დღემდი ჩვენი საზოგადოება ისე მოქმედობდა, თითქო სურდა ფორმალურად დაეკმაყოფილებინა თავისი მოვალეობა და ვინც უნდა ყოფილიყო მისი წარმომადგენელი, მისთვის სულ ერთი იყო.

ახლა გარემოება შეიცვალა.

რადგან სხვა უფლებას მოკლებული ვართ, სასირცხო და მაინებელია ჩვენთვის ამ ერთის უფლებითაც, რომელიც მონიჭებული გვაქვს, ვერ მოვახერხოთ სარგებლობა. შეჰველი, თუ ღირსეული მცოდნე და მოხერხებული კაცები არ იქმნენ ალმორჩეულნი მარშლებად, ეს თავად-აზნაურობის უფლება ისევ ისე უნაყოფოდ და უსარგებლოდ ჩაიელის, როგორც აქამდი. წასულ წელში ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღწერილი—თუ რა ნაირად გამოიცვალა დრო და რა გვარ მომქმედ პირებს მოითხოვს ახლანდელი საზოგადოდ სახელმწიფოის და კერძოდ ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა. (იხილე ბ-ნ მიქელაძის მუთაისის თავად-აზნაურობისადმი წერილი, 18 აპრილი 1881 წ. „დროებაში“).

ჩვენ ახლავე მივაქციეთ ამ საგანს ყურადღება იმიტომ, რომ გვინდა გავაფრთხილოთ მოკენჭეები; გვინდა ჩვენმა საზოგადოებამ დროზე მოიფიქროს და რიგიანად მოემზადოს თავისი მოვალეობის ღირსეულად აღსასრულებლად, წინათვე იქონიოს სახეში ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადოებისადმი სამსახური გულწრფელი, თავ-განწირული და სასარგებლო იქნება.

ჩვენ გავიგეთ, რომ ზოგიერთი ისეთი პირები, რომელთაც წარსულიც უფერული და უნაყოფო იყო ჩვენის ქვეყნისათვის და მომავალიც არა ვითარ კეთილს არ გვიქადის, ცდილობენ მარშლობასაო. ადვილი შესაძლებელია, რომ კენჭის-ყრის ბრძოლის დროს, მოულოდნელად თვითონ საზოგადოებისათვის, გაიმარჯვონ იმ კანდიდატებმა, რომელთა წინამძღომლობა დამამდაბლებელი იქნება ჩვენის თავ-მოყვარეობისათვის და მაინებელი ჩვენის მდგომარეობისათვის.

აი მიზეზი რომელმანც გვაიძულა დროზე გავაფრთხილოთ მეკენჭეები.

დღიური

ბუშინდლისთანა წარმოდგენა საზოგადოებას დიდი ხანია არ უნახავს. „საზოგადოების ნაღებიო“ რომ იტყვიან, ის დაესწრო ამ საღამოს წარმოდგენაზე. მთელი ქართველი არისტოკრატია და ბევრი სომხებიც მოვიდნენ თ. დ. გ. ერისთავისაგან ახლად გადმოკეთებულ სარდუს დრამის **„სამშობლოს“** სანახავად და, დარწმუნებული ვართ, რომ არცერთი დამსწრე უკმაყოფილოდ არ დაბრუნებულა შინ ამ საღამოს ჩვენის სცენის მოღვაწეებზე, ჩვენს დრამმატიულ დასის თამაშზე. მაგრამ ამაზე, ე. ი. თვითონ წარმოდგენაზე, შემდეგ ვიტყვით უფრო დაწვრილებით, ახლა მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ეს წარმოდგენა იყო ნამდვილი დღესასწაული დრამის გადმომკეთებელის თ. დ. გ. ერისთავისათვის და რეჟისორის თ. მ. პ. ბებუთოვისათვის. ერთიც და მეორეც რამდენჯერმე გამოიხმო

სიკვდილი. უკვდავი? გავიდა თითქმის ათასი წელიწადი, რაც უკვდავი დრო გავიდა.

მოდა. შეფალო, თქვენ ჰბაძავთ პეტრარკეს, როგორც იტალიელი ლირიკი XV ანუ XVII საუკუნესი.

სიკვდილი. მე პეტრარკი მიყვარს იმიტომ, რომ ის ყველგან ჩემზედ ლაპარაკობს! შენ კი დამეკარგე!

მოდა. გაფიცებ, თუ გიყვარს ცოდვით საესე ოჯახი, დადექ და შემომხედე!

სიკვდილი. გიყურებ!

მოდა. ვერა მცნობ?

სიკვდილი. შენ უნდა იცოდე, რომ მე კარგად ვერა ეხედამ და სათვალეები არა მაქვს, რადგან ინგლისელებს ჯერ კიდევ საჩემო სათვალეები არ გამოუგონიათ; მაგრამ, თუნდ კიდეც გამოიგონონ, მე სათვალების გაკეთება მეჯავრება.

მოდა. მე შენი და ვარ, შენი და!

სიკვდილი. და?!

მოდა. სწორედ! განა შენ დაგავიწყდა, რომ ჩვენ ორიენი ერთი ბებრისაგან გაჩენილი ვართ, სასირცხო და მაინებელია ჩვენთვის ამ ერთის უფლებითაც, რომელიც მონიჭებული გვაქვს, ვერ მოვახერხოთ სარგებლობა. შეჰველი, თუ ღირსეული მცოდნე და მოხერხებული კაცები არ იქმნენ ალმორჩეულნი მარშლებად, ეს თავად-აზნაურობის უფლება ისევ ისე უნაყოფოდ და უსარგებლოდ ჩაიელის, როგორც აქამდი. წასულ წელში ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღწერილი—თუ რა ნაირად გამოიცვალა დრო და რა გვარ მომქმედ პირებს მოითხოვს ახლანდელი საზოგადოდ სახელმწიფოის და კერძოდ ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა. (იხილე ბ-ნ მიქელაძის მუთაისის თავად-აზნაურობისადმი წერილი, 18 აპრილი 1881 წ. „დროებაში“).

ჩვენ ახლავე მივაქციეთ ამ საგანს ყურადღება იმიტომ, რომ გვინდა გავაფრთხილოთ მოკენჭეები; გვინდა ჩვენმა საზოგადოებამ დროზე მოიფიქროს და რიგიანად მოემზადოს თავისი მოვალეობის ღირსეულად აღსასრულებლად, წინათვე იქონიოს სახეში ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადოებისადმი სამსახური გულწრფელი, თავ-განწირული და სასარგებლო იქნება.

ჩვენ გავიგეთ, რომ ზოგიერთი ისეთი პირები, რომელთაც წარსულიც უფერული და უნაყოფო იყო ჩვენის ქვეყნისათვის და მომავალიც არა ვითარ კეთილს არ გვიქადის, ცდილობენ მარშლობასაო. ადვილი შესაძლებელია, რომ კენჭის-ყრის ბრძოლის დროს, მოულოდნელად თვითონ საზოგადოებისათვის, გაიმარჯვონ იმ კანდიდატებმა, რომელთა წინამძღომლობა დამამდაბლებელი იქნება ჩვენის თავ-მოყვარეობისათვის და მაინებელი ჩვენის მდგომარეობისათვის.

აი მიზეზი რომელმანც გვაიძულა დროზე გავაფრთხილოთ მეკენჭეები.

დღიური

ბუშინდლისთანა წარმოდგენა საზოგადოებას დიდი ხანია არ უნახავს. „საზოგადოების ნაღებიო“ რომ იტყვიან, ის დაესწრო ამ საღამოს წარმოდგენაზე. მთელი ქართველი არისტოკრატია და ბევრი სომხებიც მოვიდნენ თ. დ. გ. ერისთავისაგან ახლად გადმოკეთებულ სარდუს დრამის **„სამშობლოს“** სანახავად და, დარწმუნებული ვართ, რომ არცერთი დამსწრე უკმაყოფილოდ არ დაბრუნებულა შინ ამ საღამოს ჩვენის სცენის მოღვაწეებზე, ჩვენს დრამმატიულ დასის თამაშზე. მაგრამ ამაზე, ე. ი. თვითონ წარმოდგენაზე, შემდეგ ვიტყვით უფრო დაწვრილებით, ახლა მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ეს წარმოდგენა იყო ნამდვილი დღესასწაული დრამის გადმომკეთებელის თ. დ. გ. ერისთავისათვის და რეჟისორის თ. მ. პ. ბებუთოვისათვის. ერთიც და მეორეც რამდენჯერმე გამოიხმო

სიკვდილი. ბასაკვირველი არ არის, რომ არ მახსოვდეს, რადგან მახსოვრობის პირველი მტერი ვარ.

მოდა. მე კი კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც ჩვენ დავიბადენით და ორიევემ ერთი მიზანი ამოვირჩიეთ, რომ გადავაკეთოთ და გამოვცვალოთ ქვეყანა, თუმცა აქამდის ამ მიზანს სხვა-და-სხვა გზით მივსდევდით.

სიკვდილი. თუ გინდა, რომ შენი ლაპარაკი გავიგონო, ცოტა ხმა-მაღლა ილაპარაკე და სიტყვები გარკვევით გამოთქვი, რადგან თვალსა და ყურს ერთ-ნაირად მაკლია.

მოდა. თუმცა ხმა-მაღლა ლაპარაკი ეხლა მოდაში არ არის და საფრანგეთშიაც უზრდელობად ითვლება, მაგრამ.....ჩვენ დები ვართ, აქ რა დროს მოდაა! მე იმას ვამბობ, რომ ჩვენი მიზანი არის ქვეყნის შეცვლა და გაახლება. ეს მიზანი შუაზედ გვაქვს გაყოფილი: შენ ეხები ადამიანის გვამს და სისხლს, მე კი სისხლი რად მინდა, მე სხვასთანა მაქვს საქმე. ჩემი საქმე ადამიანის სულია! ეჭამდის მიმყავს ადამიანი, რომ ბუნებიდგან მშვენიერ სახეს უმახინჯებ და ეშმაკს ვამგზავსებ. შცებ დავიძახებ:

„— წვერები, თმები, ტანისა, სახლის მოწყობა ასე და ასე შესცვალეთ!“

ბაიგებენ თუ არა ამას, ხალხს შეუდგება ერთი ალიაქოთი, ერთი ვაი-ვაგლახი და ყველა სცდილობს მალე აასრულოს ჩემი ბრძანება. ბალში ჩავარდება და უეჭველად კი შეასრულებს ამ ბრძანებას, რადგან იცის, რომ უმისოდ ის არ ივარგებს და საზოგადოებიდგან გამორიცხული იქნება. რამოდენიმე ხნის შემდეგ გავცემ ბრძანებას:

„— ესა და ეს წამალი პირს და ხელებს ათეთრებს, ალამაზებს და არბილებს!“

აი ახალი ხათაბალა! მალე, მალე! უველამ უნდა გაიჩინოს ის წამლები! მოდა არი და!! რა ქნან? მე კი მოვიდგან ჩუმ-ჩუმად მეცინება, რომ ახალგაზრდები და მშვენიერები იმ წამლების წყალობით იბღაჯნებიან და ბებრებს ემგზავსებიან. რასაკვირველია,

საზოგადოებამ ანტრაქტებში და ტაშის-კვრით დაასაჩუქრა ერთი მშვენიერი გრძნობის აღძვრისათვის და მეორე პიესის ღირსეულად დადგმისათვის. ნიშნად პატივისცემისა ქართულმა დასმა უძღვნა „სამშობლოს“ ავტორს დაფნის გვირგვინი ატლასის აფიშით და ამ პიესის გამმართავს დაფნისვე ჩანგი ამ გვარისვე აფიშით. წარმოდგენის გათავების შემდეგ ორიენი ხელით აიყვანეს, გამოიყვანეს თეატრიდამ დი ერთის ბრაოს ძახილითა და ტაშის-კვრით ჩასვეს ფაიტონებში.

ერთის სიტყვით, დიდი ამბავი იყო...

* * *

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა ადგენს წესდებას იმის თაობაზედ—თუ სად და რა პირობით უნდა მიეცესთ კავკასიაში სახელმწიფო თავისუფალი მიწები იმ პირთ, რომელნიც რუსეთიდამ ამ ქვეყანაში გადმოესახლებიანო.

* * *

ბათუმიდამ იწერებიან გაზეთს „კავკაზში“:

„ 3 დეკემბერს 1874 წელს დამტკიცებულის შტატით, საქალაქო სასწავლებლებში ‘სამშობლო ენების მასწავლებელთათვის ცალკე ჯამაგირია დანიშნული. თუმცა ეს ასე, მაგრამ ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, რომელშიაც კარგა-ძალი ქართველი შვილები იმყოფებიან, ჯერ კიდევ არ შემოულიათ ქართულის ენის სწავლა.“

* * *

ამაღე გაზეთის სიტყვით, მეტეხის ციხეში ამ ჟამად 253 ტუსაღი იმყოფება და თფილისის საგუბერნიო სატუსაღოში—287 ტუსაღი,—სულ 540 კაცი და ქალი.

„დროების“ კორესპონდენცია

—

ზემო-ჭალა, 16 იანვარი. საშინელი სუსხი ზამთარი გვეწვია წელს; ქარიშხალმა, ნამქერმა და ამასთან სიძვირემ და სხვა-და-სხვა ხალხის გულის შუაზე გამაპობელმა მოვლინებამ მთელი ეს მხარე შეაწუხა. შუფულობაზე რაღა მოგახსენო.. ბატონო, ვერსად მიიხედავ, რომ უზარ-მაზარი ქვესატობის ღმერთი არ იდგეს სუყველას სახლის კარებთან..

ესეც კიდევ არაფერი, ამას როგორც იქნება გაუძლებთ, რადგანაც ეს ქვესატობის ღმერთი დიდი ხანია ქართველების ქისას შესჩვევია და მკვიდრი საფუძველი გაუკეთებია იქ თავის ძლიერებისათვისა, მაგრამ რა უყოთ ამ ბუნების ვანრისხებას?.. სუყველა ჭირს, სუყველა შემფერხებელ გაჭირვებასთან ბრძოლას და ათას გვარ თავში-ცემას გაუძლო ჩვენებურმა გლეხმა, გარდა ამ სატიალო ქარიშხალისა, რომელიც თითქმის ყოველ ზამთრობით შესჩვევია ისეც „ცხოვრობის ქარიშხალიდგან“ დაძაბუნებულ და შეეიწროებულ გლეხს და ლამის არის თავს დასცეს იმ ერთად ერთ თავ-შესაფარი ქოხმახი, სადაც მყოდროობაში ცოლ-შვილებთან და ცოლ-შვილებით იქარვებს დარდებს.

მართლაცა და ძალიან ქარიშხალი აგვიტყდა ეს ერთი კვირა მეტია. შინიდგან გარეთ გამოსვლა თითქოს შეუძლებელი გახდა. წარმოიდგინეთ, ცხვირ წინ მდებიარე ხაშურში ვერ გასულა კაცი ნამქერისაგან გზების შეკვრისა გამო. დუქნების, წისქვილების და ბევრი გლეხების სადგურის ყავარი ძირს დასცა და მით მისცა დიდი ზარალი გლეხებს.

კარგია, რომ ადგილობრივი სასოფლო სკოლის შენობა მყუდრო ადგილას არის, თორემ ამასაც კი შავდღეს დააყრიდა ეს საშინელება. შენობა კი გადარჩა, მაგრამ შეგირდები კი ძალიან მოაცდინა, რადგანაც შეუძლებელი იყო სკოლაში სიარული.

რკინის გზასაც ხომ დიდი სიცხე დააყენა: ისე წალეკა ნამქერმა ეს გზა, რომ „ორთქლით მატარებელის“ სიარული შეუძლებელი გახდა. პასაჟირები ჩავარდნენ დიდ განსაცდელში... სამი დღე მატარებელი არ დაძრულა ხაშურიდგანი. პასაჟირებმა უკანასკნელ „ჯიბის“ ფულებიც „ფული ყლაპია“ ხაშურს შეაჭამეს და დარჩნენ წყალწაღებულნი სასო წარკვეთილობის ანაბარა. რომელსაც კი ფულები უჭყავის ჯიბეში, ის კი, რასაკვირველია სულ „ურა კამპანიას“ გაიძახის. ბრალი „უფულოებს“, ბრალი გლეხებს და ბრალი უფრო მანდილოსნებს კავალრებითურთ, რომელთაც, ცხოვრების სინარნარეში გაჩვეულებს, ცხოვრების სიამით გამძღართ, აღარა აქვსთ ღონის-ძიება ერთი ერთმანეთთან მიცუნცულობისა და მასლაათისა ამ „საზოგადო“ კითხვებზე, როგორც მაგ: რა ეჭამოთ ხვალ? როგორი კაბა ჩავიცოთ? ლოტო ვისას ვითამაშოთ და სხ. და სხ?.

ერთ რიგად კი ძალიან სარგებლობა მოგვიტანა ამ ნამქერმა: ერთის კვირით მაინც შეაჩერა „კლიაოზნიკობა“, ჰორიკანაობა და სხვა-და-სხვა უგვარო საქციელნი, რომლებიც ასე ხშირია ჩვენკენ რამდენიმე ვაჟბატონ-ქალბატონების წყალობით.

სანდრო ჭოჭოლა.

რუსეთი

(გაზეთებიდან)

როგორც იწერებიან რუსეთის გაზეთებში, ოსმალეთისაგან რუსეთის ხვედრ სამხედრო გარდასახადის საქმე გათავებულა. ოსმალეთს ვალად დაუდევია ყოველ წლივ იხადოს 10,000,000 (ათი მილიონი) ფრანკი, სანამ მთელს ვალს არ გადაიხდის.

მომავალ პოლიტიკურ პროცესზე ბრალდებულთაგან არიან ამორჩეული რუსის საუკეთესო და გამოჩენილი ექვილნი: სპასოვიჩი, ალექსანდროვი, ტურჩანინოვი და ნეჩაევი.

—

სახელმწიფო რჩევაში შეუტანიათ პროექტი სხვა-და-სხვა ქარხნებში მცირე წლოვანთა შრომის განსაზღვრაზედ. ამბობენ, სხვათა შორის, რომ 12 წელზე ნაკლებ ყმაწვილს არ მისცემენ ქარხნებში მუშაობის ნებას.

—

შთავერესი მმართებლობა საპატიმროთა ირკვევს სხვა-და-სხვა ზომებს პატიმართა შრომის გასავრცელებლად.

—

როგორც იწერებიან, გასულის ომიანობის დროს, ჯარებისათვის ცუდის ქინაქინის მიცემის თაობაზედ მოკლე ხანში შედგება საქმეო.

კიდევ ქართულ გალობაზედ

„დროების“ მე-9 №-ში წავიკითხე ბატ. ანჩხატელის წერილი „ქართული საეკლესიო გალობა“ და ძალიანაც მასიამოვნა მასში გამოთქმულმა აზრმა. ეს კია, რომ თავიდგანვე დრტვინავს ბ. ანჩხატელი—ცუდად რათ მიჰყავთ გალობის აღდგენის საქმეო?

რამდენადაც გეახსოვს, ბ. ანჩხატელის წინანდელი წერილები „გალობაზედ“ არ ეთანხმებიან მე-9 №-ში დაბეჭდილს წერილს. ამასთან ბ. ანჩხატელს აკვირვებს, რომ „მართლ-ქახეთის“ კილოს „ქარბელოვის გალობას“ უწოდებენ. მე კი არ მაკვირვებს: ამ საუკუნის პირველმა ნახევარმა ბევრ სადმე სოროში, ნანგრევებში და შენი ძალა დაგეთესნა იქ, სადაც არა ვითარი ნაყოფი არ მოჰქონდა! ეხლა? დიდი განსხვავებაა! შენს მფლობელობას ეხლა სამზღვარი არა აქეს... ადრე ყველას ეჯაერებოდი და ეზიზღებოდი: ეხლა კი, ჩემი წყალობით, ყველა ჰკვიანი კაცი შენ გაფასებს და გაქებს. მრავალი ხმა გეძახის შენ და მრავალი თვალი უყურებს შენს გზას და შენს გამოჩენას ელოდება. ეს სულ ჩემი მეცადინეობით მოხდა. დაბოლოს გეტყვი, რომ მე კიდევაც მზათა ვარ ყველაფერში გიშველო! მოდი, მაშ ჩაჰკიდოთ ხელი ხელს და შეუდგეთ ჩვენ გზას. ერთი ჰკუა კარგია, მაგრამ ორი უფრო კარგია.

სიგვდილი. მართალს ამბობ დაო, მართალს! ამ დროიდგან ჩვენ ერთად ვიმოქმედოთ!...

ი. ც—შვილი.

შენც კარგად იცი, რომ ჩემი ბრძანების აღსრულებაში ქალები დიდ შემწეობას მაძლევენ: რა წამს გაიგებენ ჩემს ბრძანებას, შიკრიკებივით მთელ ქვეყანას მოჰფენენ და პირველად თითონვე ასრულებენ. იმათ პატრონებს კი თავში საცემი გაუხდებათ ხოლმე. მაი იმ პატრონის ბრალი, ვინც მალე არ აუსრულებს ქალს თხოვნას! თავში ქვა იხალე, წელი მოიწყვიტე, პატრონო, ვალით აივსე და მალე კი უნდა აუსრულო მოდას ბრძანება. ერთხელ წამოვიძახე:

„— ძარსეთი ტანს ასწორებს, ამშვენებს-მეთქი!“

ვაიგეს თუ არა ქალებმა, აბა მალე, და მალეც აასრულეს ჩემი რჩევა და იქამდისაც მიიყვანეს თავიანთი თავი, რომ არა თუ მარტო იფუჭებენ ტანს, არამედ სიცოცხლესაც იმოკლებენ. ერთის სიტყვით, ყველა ეზად არის ჩემი გულისთვის აიტანოს სიცივეც, სიცხეც, ავადმყოფობა და სიკვდილიც. მე კი შორიდგან მეცინება!.

სიგვდილი. ეხლა ნამდვილად ეხედავ, რომ შენ ჩემი და ჰყოფილხარ! მაგრამ აგრე რომ ვდგიე, გული წამივა. აბა თუ შეგიძლიან გაეიქცეთ და თუ ვერ მომყვები, სიკვდილის შემდეგ, როგორც ნათესავს, დაგიტოვებ მთელ ჩემს საპირის-ფარეშოს.

მოდა. რაც შეეხება სირბილს, ვინ იცის ვინ უფრო კარგად გარბის. შენ რომ გაჭენებული მირბიხარ, მე ჩაქჩაქით მოგდევ და გისწრობ კიდეც. შენსავით მეც მწყენს დგომა, გავიქცეთ და გზაზედ მოვილაპარაკოთ.

სიგვდილი მაშ კარგი! თუ ჩვენ ნათესავები ვართ, შენგნით დიდი უსვინდისობა იქნება, რომ გაჭირებაში არ მამეხმარო.

მოდა. ბანა მე არ გშველი! თითქმის ქვეყანაზედ ყველაფერი გამოვცვალე და სიკვდილის ჩვეულების მოსპობა კი არ გამიძრახავს!

სიგვდილი. რა გასაკვირალია, რომ რის გაკეთებაც არ შეგეძლო, არ გააკეთე!

მოდა. როგორც ეხედამ, შენ კიდევ არ გკოდნია ჩემი ძალა.

სიგვდილი. კარგი, კარგი, მაგაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ, როდესაც ხალხი მოდაზედ არ დაიხოცება; ახლა კი ძალიან კარგს იზამ, რომ მიშველო და როგორმე გამოვცვალოთ ეხლანდელი წყობილობა სულ სხვა შედეგი მივიღოთ, მინამ ეხლა?

მოდა. მე კიდეც გითხარ ზოგიერთ ჩემ საქმეებზედ, რომლებიც შენთვისაც სასარგებლოა და კიდევაც მეტყვი: ამ ბოლოს დროს, შენს სასარგებლოდ, მე ჩვეულობიდგან გამოვიყვანე ისეთი მეცადინაობა და ვარჯიშობა, რომლებიც შველოდნენ ადამიანის კარგად მყოფობას და იმათ მაგიერ, ისეთი ჩვეულობა შემოვიღე, რომელიც კაცის აგებულობას შლის და სიცოცხლეს უმოკლებს. ამასთანავე ისეთი წყობილება შევიტანე კაცის ცხოვრებაში, რომ ის ფიზიკურად და ზნეობით ემგზავსება უფრო მკვდარ სიცოცხლეს, ვინემ ცოცხალს... მოიგონე უწინდელი დრო, როდესაც შენ იძულებული იყავ დამალულიყავ სადმე სოროში, ნანგრევებში და შენი ძალა დაგეთესნა იქ, სადაც არა ვითარი ნაყოფი არ მოჰქონდა! ეხლა? დიდი განსხვავებაა! შენს მფლობელობას ეხლა სამზღვარი არა აქეს... ადრე ყველას ეჯაერებოდი და ეზიზღებოდი: ეხლა კი, ჩემი წყალობით, ყველა ჰკვიანი კაცი შენ გაფასებს და გაქებს. მრავალი ხმა გეძახის შენ და მრავალი თვალი უყურებს შენს გზას და შენს გამოჩენას ელოდება. ეს სულ ჩემი მეცადინეობით მოხდა. დაბოლოს გეტყვი, რომ მე კიდევაც მზათა ვარ ყველაფერში გიშველო! მოდი, მაშ ჩაჰკიდოთ ხელი ხელს და შეუდგეთ ჩვენ გზას. ერთი ჰკუა კარგია, მაგრამ ორი უფრო კარგია.

სიგვდილი. მართალს ამბობ დაო, მართალს! ამ დროიდგან ჩვენ ერთად ვიმოქმედოთ!...

ი. ც—შვილი.

რი კარგი ხელუხლებელი მგალობელი ჩააბარა შავი მიწის უბეს: დიდი ბეონტი, პატარა ბეონტი, თაზიშვილი, სოფრონ არხიმანდრიტი (ერისთავი), დიმიტრი ბერი, პეტრე მგალობელი და სხ. დარჩა მათგან მხოლოდ მღ. ქარბელოვი, რომელმაც 1861 წლიდამ ვიდრე 1873 წლამდე გაავრცელა, რამდენადაც დრო-ჟამი ხელს უწყობდა, გალობა ქართლ-ქახეთში. თუ ეძახიან ქართლ-ქახეთის კილოს „ქარბელოვისას“, ალბად ამისთვის. ჩვენ კი, ბ. ანჩხატელო, ერთად ვინატროთ გალობა, თუნდ „ქართლული“ დაერქვას, თუნდ „ხევსურული“.

ერთიც ესა: 1878 წ. 14 სექტემბერს რომ სიონის სობოროში ქართული გალობა იყო (გურულები და ქარბელოვები რომ გალობდნენ) მაშინ იმ გალობამ „აღგიტაცათ გონებით ღვთისა მიმართ“, „აგიშალათ ესტეტიკური მგრძნობიარება“, „შეგაერთათ მიწიერი ციურთა თანა“, თუმცა მაშინაც ორივე გუნდი სამ-სამი კაცისგან შესდგებოდა—და მათს გალობას „მოუმზადებლობა ეტყობოდა“. ეხლა კი 10 იანვარს ანჩხატის სობოროში გალობას მითომ წუნსა სდებთ — „სამი კაცი გალობდაო“. თუმცა ეგ გალობა ერთი-ორად უკეთესი იყო 1878 წ. 14 სექტემბრისაზე.

მართალია, სხვა სამი ხმაც რომ იყვეს, ე. ი. სხვა სამი მგალობელიც რომ იყვეს, უკეთესი იქმნებოდა. რაც შეეხება ქართლულ-გურულ კილოთ განსხვავებას, იგი თქვენ გამოხატეთ ხელოვნურად მგონია 1878 წელს. მე ჩემის მხრივ ვიტყვი, რომ, „წირვის გალობა“ სრულიად სხვაა. ერის ერთგვაროობა მხოლოდ „რვა ხმებში“.

დიდად პატივცემულის ეპისკოპოზის ალექსანდრეს ღვაწლმა რომ ამაოდ ჩაიარა, რომ 5,000 მანეთამდე ფული ტყუილ-უბრალოდ იქმნა დახარჯული,—ეგ უეჭვო სიმართლეა; და თუ მაგ ფულს და ღვაწლს კარგი ბოლო ჰქონოდათ, ყველასთვის სასიხარულო იქმნებოდა. რაც იყო, იყო; ვეცადოთ რაც იყო, ადარ იყვეს.

საკუთარი სპეციალისტი—ნოტების მწერალიც დიდად კარგია. მაგრამ, სანამ იგი ამოგვინათებდეს, მანამ?—მანამ ვისხდეთ?

ბატონო! ჩვენ მღვდლებს რა სომეხ-ფრანგების მღვდლებზე უთითებთ! იმათ რომ „მელქისედეგ მღვდელი“, დიდი მასილი, ოქროპირი, მასსილიონი და სხვ. დღეს ფეხზედ წამოუყენოთ თვალ წინ, მაინც მაღლა არ აიხედვენ... მაინც ჯიბეში აპოტინებენ ხელებს.... ბანა ჩვენ მღვდლებს არ შეუძლიანთ, რომ მათ შვილებს ნამდვილი სამღვდელოებრივი აღზრდა მისცეს იმ სკოლებმა, რომელთაც იგინი ინახვენ? რომ მის მაგიერ „პისრები“ და „ოკოლოდოჩნიკები“ გამოდიან. რისგან არის, რომ მათმა შვილებმა სწავლის შესრულების შემდეგ „ანაბანა“ არ იციან, რომ იგინი ხალხს არ იცნობენ და ხალხი მათ ვერ სცნობს? ბანა არ შეუძლიანთ „ქართული ენის“, „ქართული ისტორიის“, „ლიტერატურის“ კითხვის და გალობის კათედრები მოითხოვონ შტატით? —შეუძლიანთ ყველა ესე, მარამ,..... მახლას.... რომ არ ძლებულობენ!... მტრობა, ბეზღობა, ფარისეველობა—აი მათი სფერა. იგინი ფიქრობენ თავიანთი შვილების გასტუმრებას საიქიოს „ოქროპირის“ „მასილი დიდის“, „მასსილიონის“ და სხვ. ქადაგებების მოსასმენად. აბა რას აქნევენ „ქართულს“, ან გალობას?

სხვებრ თვით ჩვენ გავმხნევდეთ, ლაპარაკს ვუკლოთ და საქმეს შევუდგეთ; მივსცეთ ერთმანერთს მშველელი ხელი და ნუ ჩავიტანთ მიწაში მამა-პაპათ მიერ ანდერძებულ განძეულობას.

ჰ. ცხვილოელი.

წერილი იოსებ ცხვეთაძესთან

«Юпитеръ ты сердишься,
не правъ мейровъ».

ერთმა ჩემმა ნაცნობმა შემატყობინა, რომ თქვენ, ბ. ი. ცხვეთაძე, მიძღვენით მე ჟურნალ „იმედში“ თქვენის ენის საკადრისი ლანძღვა. უ-ჩემამხანაგოდ ამ თქვენ წერილს მე არ წავიკითხავდი, რადგანაც არ გახლავარ ნაბღაჯნის მკითხველი, ნამეტნავად იმ ჟურნალისა, რომელიც აგრე ლაზათიანად ასრულებს თავის სახელს: არ უკარგავს იმედს თავის გამოჩენისა წერაში მცირე წლოვანებს, რომელნიც აგრე გახშირდნენ ჩვენში „იმედის“ დაარსებაზედ.

თქვენი წერილის წაკითხვაზედ სამმა აზრმა გამიელვა: პირველი, რომ თქვენ ტყუილებით შესტოპეთ უძირო ჭაობში, საიდამაც ვეღარ გამოსტოპავთ; მეორე, დღე და ღამე სულელი ჭკუაზედ ლაპარაკობს, ავაზაკი და ქურდი წმინდა კაცობაზედ, ბოროტი—პატიოსნობაზედ და ბ-ნი ცხვეთაძე სინიდისზედ; მესამე—ძალიან დიდ სამსახურს უწევს ზოგიერთებს გლეხ-კაცზე ხმა მაღლა სიყვარულის გამოცხადება: მით იმართლებს თავს ჩინოვნიკი ქრთამის აღებაში, მცარცველი მოიჯარადრე, რომელიც ათასობით ღუპავს ხალხს და ბ-ნი ცხვეთაძე.

როგორც სირ-აქლემი, რომელიც დაინახავს თუ არა მტერს, გაექანება და თავს ქვიშაში შეჰყოფს სრულის იმედით, რომ რადგანაც თითონ ვეღარა ხედავს, სხვებიც ვერა ხედვენ, —ისე ზოგიერთ კაცს ჰგონია, რომ თუ თავზე წამოიფარეს ხალხზედ სიყვარულის გამოცხადება, სხვები ვეღარ დაინახავენ იმის ჩირქს.

თავის წერილში ბ-ნი ცხვეთაძე მალ-მალ იხსენიებს „თქვენი ჯიშის კაციო“. სჯობს დავანებოთ ჯიშზედ ლაპარაკს, მამა-პაპების მოხსენებას დავანებოთ თავი. მოგეხსენებათ, ქრილოვის ბატები შერცხვნენ იმიტომ, რომ ღაღადებდნენ „ჩვენმა პაპებმა რომი გადაარჩინესო და ამიტომ ჩვენ პატივი უნდა გვცეთო“. ამ ბატებს საბუთი მაინცა ჰქონდათ, თქვენისთანა ინდოურებს კი რა საბუთი აქვთ, როდესაც ჯინშზედ ლაპარაკობთ.

მე, ბატონო, ერთ მშვენიერ დილას მითხრეს ქავთის-ხევის დუქანი დაიკეტაო.

თუმც სხვა-და-სხვა მიზეზებით ექვსი წლიდამ მოშორებული ვიყავ ჩემ სამშობლოს, მაგრამ აქაური კარგად წაყვანილი საზოგადო საქმეები მეც მახარებდნენ.

ძალიან გამიკვირდა იმ დუქნის დაკეტა, რომელზედაც გაზეთებშიაც და ლაპარაკითაც ქება მესმოდა. ორი თვე უცადე ანგარიშის დაბეჭვდას და დაკეტის მიზეზებს. ბოლოს, რადგანაც ვხედავდი არ იბეჭდება, დავწერე შემდეგი შენიშვნა: არ იქნება მეთქი ურიგო ქავთი-ხევის დუქნის ანგარიში გამოცხადდეს, აგრეთვე მიზეზები დაკეტისა. ამაზედ თქვენ დასწერეთ, ანგარიშის მაგიერად საშინელი ლანძღვა და სწორედ ძალიან გამიკვირდა. წაველ მეც სოფელში, მინდოდა ადგილობრივ გამეგო ეს ამბავი. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ თურმე ბევრისთვინ სიკვდილი ყოფილა საზოგადოდ ანგარიშის მოთხოვნა.

პირველ წერილში კიდევ ცოტა შეიკავეთ ენა, მაგრამ „იმედში“ კი წამოაპირქვავეთ თქვენი სხეული, საიდანაც წარმოდინდა რაც კი თქვენში იდგა და სრული დარწმუნებული იყავით, რომ მაგოდენა ტალახში, არ იქნებოდა, რომ ცოტაც არის არ მომცხომოდა-რამე.

ძალიან თამამად ამბობთ, რომ მე ტყავს ვაძრობ გლეხებს. მართლაცა და თქვენ სიცრუვეს ზომა არა ჰქონია. თქვენ თითონ კარგად იცით, რომ არც კავთი-ხეველები და არც ახალ-ქალაქელები მე თითქმას არ მიცნობენ. ქავთი-ხეველებს ხუთჯერ არ უნახივარ თავიანთ სოფელში. ან საიდამ მნახავდნენ, როდესაც ბავშვი მოვშორდი მამულს და იქამომდინ მამულში არ მიმუშავნია? იმ მამასახლისსა, რომელზედაც თქვენ ამბობთ, არ ვიცნობ და არც ის მიცნობს, სალაპარაკოთაც არ შემხვედრია. ძალიან დაგიმადლებთ, თუ მამაგონებთ რამდენჯერ მოვსულვარ მე გიმნაზისტი მარონეჟიდამ, სტუდენტი პეტერბურღიდამ და ჩინოვნიკი ბანჯიდამ გლეხ-კაცების ტყავის გასაძრობად! იმ ოც-და-ერთ წელიწადში, რაც მე მოშორებული ვარ სოფელს, თითო დღეები და თვეები რომ ერთად შევკრიფოთ, რაც მე სოფელში დრო გამიტარებია, ვერ შეადგენთ ორ წელიწადს. ეს სუყველაფერი თქვენ კარგად იცით, და ამისთანა უზომო ტყუილით ვინდათ თავი გაიმართლოთ?

„თუ იმისთანა სასარგებლო არისო ამგვარი დუქანიო, რატომ თქვენც არ გააღებთ ერთ ათ ამისთანა დუქანსაო“. იმიტომ, ბატონო, რომ მე ღმერთმა არ მაღირსა თქვენისთანა ხასიათები.

მართალი ბძანდებით, რომ დიდი შრომა და ვაი-ვაგლახი გაგიწევიათ ამ დუქნის დაარსებაზედ და იმის მუშაობაზედ, ხალხმაც დაინახა ეს, როცა თქვენ დუქნის დაკეტვის დროს ურჩევდით სოფლის ბანკის გახსნას (!),—ამიტომაც აღარ მოინდომეს თქვენი დაჩაგვრა და შეწუხება და მადლობა და უარი გითხრეს... თქვენი ტყუილები არ მაკვირვებს ერთის გარდა, ვითომც მე ბევრჯელ წამიღებინებია დუქნიდამ ნისიათ ბიჭის ხელით ვიჩინა და სხვა ხორაგი. ერთი გეთაყვა, მიპასუხეთ რამდენჯერ გამოგიგზავნეთ ბანჯიდამ კურიერები ვიჩინის გამოსაგზავნად ჩემთან? თუ თქვენ მიგზავნიდით ვიჩინით კურიერებს, არვიცი, მე იქ არა მამსვლია-რა!

აი, ამისთანა ტყუილებით უნდა გაიმართლოთ თავი?

ახალ-ქალაქელი.

ნარევი

ერთს რუსის ინჟინერს გამოუგონია განსაკუთრებითი აპპარატი, რომლის საშუალებითაც იკარგება ყოველივე შიშინი და ხმა ორთქლისა სხვა-და-სხვა გვარ ორთქლით მატარებლებში. როგორც ამტკიცებენ, ამ აპპარატის სარგებლობა დიდი იქნებაო განსაკუთრებით ომიანობის დროს.

* * *

ყოველ გვარი საკვირველი და შესანიშნავი გამოგონება ამერიკიდამ იწყობა და იქიდამ ეფინება მთელს დედა-მიწასა. ერთს საკვირველებას ამერიკის ერთი ნაწილისას, კალიფორნიისას შეადგენს ხის წვეროებზედ გაყვანილი რკინის გზა. ეს გზა გადაუვლის ერთს დიდს ხრამს, რომელშიაც ამოსულ ხეებს სწორად წაჭრილი აქვთ თავები და ზედ გაწყობილია ორთქლით მატარებელის რელსები. ეს გზა იმდენად სანდოა, რომ კარგა დატვირთულ მატარებელს დაურიდებლად შეუძლიან ზედ გარება.

* * *

ერთს რუმინიის ინჟინერს გამოუგონია ერთ გვარი გემი, რომელიც ბევრად უფრო მოსდენილად და საუკეთესოთ ითვლება, ვინემ აქამდის ამ მიზნითვე და დანიშნულებით გამოგონილი გემები. ამ გემს შეუძლიან 12 საათის განმავლობაში დაჰყოს წყლის სიღრმეში 15 საჟენამდის და უფრო ნაკლების ხნით მეტს სიღრმეშიაც გაივლისო.

* * *

ერთ პარიჟის სასამართლოს დაუდვია გარდასახადი ერთის დედა-კაცისთვის, რომელიც თავის აუარებელის ძაღლებისა და კატების ჯოგით მოსვენებას არ აძლევდა მის მეზობლად მცხოვრებთ. ამ ჯოგის წყალობით, რასაკვირველია, საერთო ეზო-გარემოს სისუფთავეც ერთობ შერყეული იყო და ეს უფრო ავიწროებდა მეზობლებს. დედა-კაცს ჰყავდა თურმე 18 ძაღლი და ორმოც-და-ათი კატა. გარდასახადი, რომელიც სასამართლოსაგან დაედვა ამ პირუტყვთ-მოყვარე ადამიანს, თუმცა ერთობ მცირე იყო, მან მაინც

გარდიტანა აპშელატია, მაგრამ გერც ამან დაისხნა ჯარიმასაგან.

* * *

ფრანცუზულ გაზეთ *France*-ში სწერია რომ 1881—1882 წლების ზამთარი საზოგადოდ თბილ ზამთრებს რიცხვს ეკუთვნისო. შემდეგ გაზეთი ამბობს 1172 და 1556 წლ. სუები შეიმახსნეს ზამთარში თოთხლებითაო. 1289-ში სულ არ ყოთილა ზამთარი. 1528-ში, იანვარში ბალებში უვაილები გაიფურჩქნეო. 1659-ში არც თოვლი ყოთილა და არც ყინულიო... და სხვ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

(3—3)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დარსებულია ნამდვილი ჩაგასასყიდლათ პირველი მოკრეთილის და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგლითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, სხმონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბიანი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნატანგამდე. ნამდვილი ჭავნას სიგარები.

(100—66)

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად საჭირო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რეეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—45)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: ბარკასინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პალნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—60)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

26 ამ იანვრის თვეს თფილისის ქალაქის გამგეობისაგან დანიშნულია ვაჭრობა შჩებნის და გრავის იჯარით აღებაზედ ქუჩების შესაკეთებლად დასჭირდება 150 კუბიკური საქნი შჩებნი მისაილისა და ვორონცოვის შოსსეების შესაკეთებლად და 140 კუბიკური საქნი გრავი აფთიაქის და ბულვრის ქუჩებისათვის და კახეთის ლინეინის კაზარმებთან და ლაზარევის, სოჯივანის სასაფლაოზედ მიმავალ შოსსეებისათვის.

გამგეობა იწვევს ამ იჯარის ამღების მსურველთ მობრძანდნენ ვაჭრობაზედ, 11 საათზე დილით ქალაქის გამგეობაში.

ყოველგვარი პირობების გაგება, რაც შეესება ამ საგანს, შეიძლება ამისათვის დანიშნულს განყოფილებაში (Строительное отдѣленіе) გამგეობისა დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდი. (3—2)

СЪ 1-го ЯНВАРЯ 1881 ГОДА

ГАЗЕТА

КАВКАЗЪ

ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ежедневно, не исключая понедѣльниковъ, въ количествѣ 345 №№ въ годъ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причемъ преимущественное вниманіе будетъ обращено на разработку мѣстныхъ вопросовъ.

ПРОГРАММА:

Часть официальная: Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства, Высочайшіе приказы, приказы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.

Часть неофиціальная: I. Руководящія статьи: по вопросамъ, имѣющимъ обще-государственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями' преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.

II. Мѣстныя извѣстія: а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городскаго самоуправленія д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника, ж) Судебная хроника. з) Отчеты о засѣданіяхъ мѣстныхъ ученыхъ и другихъ обществъ.

III. Фельетонъ: а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги, выходящія въ Россіи и за границей, касающіяся Кавказа. в) Обозрѣніе общественной жизни. г) Научное обозрѣніе.

IV. Смѣсь. Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.

V. Справочный отдѣлъ.

VI. Казенныя и частныя объявленія

Условія подписки:	Съ доставкою въ Тифлисѣ. Руб.	Коп.	Съ пересыл. иногородн. Руб.	Коп.
На годъ	11	50	13	—
На полгода	6	—	7	—
На три мѣсяца	3	50	4	—
На одинъ мѣсяцъ	1	50	1	75

Подписка принимается въ г. Тифлисѣ, въ конторѣ газеты „Кавказъ“, на дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ“.

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ; для городскихъ подписчиковъ: при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. Для иногородныхъ: при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р. (3—3)

ბეჭდვა

25% ნაკლებ ფასად სხვა ადგილას ჩაი, გაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, ჰირის-სახანი, კლიტეები, სამურკლი, ტანისამოსის საკიდი, გოგზები, დანები, კალმები, ქაღალდი, განგერტები, რეგულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავატები, ბლაშჩები, ვანები, ქამრები, საუკლურები, კლიონკა, უნაგირები, დაგმები, უთოები, ტახტები, ჰირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხუკები, ტუალეტის საპონი, დუნები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ჭინას ღვინო, პორტ-ვეინი, სერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი გაჭართოების ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქადდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

უკლაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—67)

ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 ბენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუქინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეიმონაჯა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მაღაზიაში.

(40—24)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Января 1882 г. *Типографія С. Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.